ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

მოტივაცია - თანამედროვე სკოლის მნიშვნელოვანი პრობლემა

ნინო კოდუა
თბილისის 55-ე საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

რეზიუმე
ცნობილია, რომ არა მარტო სწავლას, არამედ ნებისმიერ აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია გულისხმობს ისეთი ფაქტორებისა და სიტუაციის შექმნას, რომელიც მოსწავლეს სწავლის ხალისსა და უნარს შემატებს. მოტივაცია ეს ის ფაქტორია, რომელიც საფუძველს უქმნის ცოდნის მიღების ხარისხს. სწავლების პროცესში ჩადებული უნდა იყოს როგორც სკოლის და მასწავლებლის მხრიდან სტრატეგიები, რომლებიც გაზრდიან შინაგან და გარეგან მოტივაციას. სტატიაში მოყვანილია მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაღალეფექტური სასკოლო სისტემებიდან, რომლებიც სტრუქტურითა და სწავლების შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ თითოეული მათგანი ყურადღებას სწორედ მასწავლებლის მუშაობის ხარისხზე ამახვილებს. ითვლება, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტორი ახდენს პირდაპირ გავლენას მოსწავლის სწავლის დონეზე.დღეს განათლების სისტემაში კვლავ ახალი ცვლილებებია მოსალოდნელი. როგორც სიახლეების მომხრე და ენთუზიაზმით სავსე ადამიანები, იმედით ვუყურებთ მიმდინარე სიახლეებს. ახლა საჭიროა მათი პრაქტიკაში განხორციელება და საჭირო შედეგის - მოტივირებული და წარმატებული მოსწავლის, მოტივირებული და პროფესიონალი მასწავლებლის მიღება.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, მასწავლებელი, სკოლა, სისტემა.

სკოლა ორგანიზმს ჰგავს. ის ცოცხალია, მასში სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობს.
ორგანიზმს სასიცოცხლო პროცესების წარმართვისათვის ორგანოთა შეთანხმებული მუშაობა სჭირდება; ასევეა სკოლაც, მისი წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი რგოლების: მოსწავლისა და მასწავლებელის შეთანხმებული მუშაობა. ამისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აღნიშნული რგოლების მაღალი მოტივაცია. თქვენი ყურადღება მინდა სწორედ ამ საკითხზე შევაჩერო.

სიტყვა მოტივირება მიღებულია ლათინური სიტყვიდან „motus" და მოძრაობას ნიშნავს. ზოგადად, რაც უფრო ნათლად არის მიზანი ჩამოყალიბებული, მით უფრო ადვილია საკუთარი თავის „ამოძრავება" და მიზნის მიღწევა. საქმე უფრო რთულადაა, როცა საქმე სხვების მოტივირებას ეხება. პრობლემა რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უნიშვნელოვანესია დღევანდელ სკოლაში, არის სწავლისადმი დაბალი მოტივაცია როგორც მოსწავლეებში, ასევე მშობლებსა და მასწავლებლებში.

ცნობილია, რომ არა მარტო სწავლას, არამედ ნებისმიერ აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია გულისხმობს ისეთი ფაქტორებისა და სიტუაციის შექმნას, რომელიც მოსწავლეს სწავლის ხალისსა და უნარს შემატებს.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

„ცუდი პედაგოგი ღაღადებს ჭეშმარიტებაზე, კარგ მასწავლებელს კი მოსწავლეები მიჰყავს ჭეშმარიტებამდე," (პესტალოვცი) იმისთვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეები ჭეშმარიტებამდე მიიყვანოს, რასაც დღეს შედეგზე გასვლას უწოდებენ, მნიშვნელოვანია გამოიყენოს მოტივაციის სხვადასხვა ხერხები.

მოტივაცია ეს ის ფაქტორია, რომელიც საფუძველს უქმნის ცოდნის მიღების ხარისხს. ბავშვი დაბადებიდანვე მიისწრაფვის სიახლეებისკენ, რაც მისი წარმატებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. თუ მოსწავლეს აქვს უარყოფითი დამოკიდებულება და ემოციები სწავლისადმი, მაშინ მისი მოტივაცია მცირდება, შესაბამისად ცოდნის დონეც დაბალია. მაგრამ თუ სწავლის პროცესი დაკავშირებულია მოსწავლის ინტერესებსა და დადებით ემოციებთან, მაშინ მოზარდისთვის სწავლა ხდება ბუნებრივი ინტერესებისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება. სკოლისა და მასწავლებლის უმთავრესი დანიშნულებაც სწორედ ესაა, რომ სწავლის პროცესი არა იძულებით, არამედ ბუნებრივ, სახალისო პროცესად აქციოს.

ცნობილია, რომ მოტივაციას განაპირობებს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული გარემოდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები. გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი, ამდენად, ფოკუსი ცნობისმოყვარეობის გამოწვევაზე უნდა გაკეთდეს. სწავლების პროცესში ჩადებული უნდა იყოს როგორც სკოლის და მასწავლებლის მხრიდან სტრატეგიები, რომლებიც გაზრდიან შინაგან და გარეგან მოტივაციას. მინდა დავასახელო ფაქტორები, რომელთა საშუალებით შეგვიძლია შევცვალოთ მოსწავლეთა მოტივაცია - გავზარდოთ, ან შევამციროთ:

- პირველ რიგში მოსწავლეებმა თავი უსაფრთხოდ და დაცულად უნდა იგრძნონ. მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცეზე უნდა შექმნას მეგობრული გარემო, მოსწავლეები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათი მოქმედება, გამოთქმული აზრი, მცდარიც რომ იყოს, არ გახდება განსჯისა და დაცინვის საგანი; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლის აქტიურობა, საგაკვეთილო პრცესში ჩართულობა და ინტერესი შემცირდება, რასაც საბოლოოდ მოტივაციის შემცირებასთან მივყავართ.
- დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო და საკლასო გარემოს მოწყობას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების კეთილმოწყობა და ცდებისთვის საჭირო ინვეტარით აღჭურვა, ერთ-ერთი მნიშველოვანი წინაპირობაა მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისათვის. ასევე სასურველია საკვეთილო პროცესში აუდიოვიზუალური რესურსების გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს.
- გარეგანი მოტივაციის ფორმები: შექება, ჯილდო ან სხვა ფორმით წახალისება ასევე აუცილებელი პირობაა მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის გაზრდისთვის. ეს სტიმულს აძლევს მათ შემდგომი კვლევა-ძიებისათვის; თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეძლოს გარეგანი მოტივაციის გადაქცევა შინაგან ფაქტორად, რადგან გარეგანი სტიმული დროებითია, შინაგანი კი ხანგრძლივია.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

- სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ბავშვები გულწრფელად გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე რომ უყალიბდებათ. სკოლის დაინტერესება მათი სამყაროთი ბავშვებს კმაყოფილების შეგრძნებას მოუტანს.
- სკოლაში ხშირად საგნები განყენებულად, ცხოვრებასთან კავშირის გარეშე ისწავლება, არ ხდება პარალელების გავლება, ბავშვებს მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი დამოუკიდებლად შეძენილი ცოდნა აქტუალური არ არის სკოლისთვის.
- კავშირი ბავშვის სამყაროსა და სკოლას შორის მინიმალურია. სასწავლო პროცესს უმეტესად არ უკავშირებენ მათ რეალურ ცხოვრებას, მოსწავლეები კი, თავის მხრივ, ვერ ახერხებენ, საკუთარი გამოცდილება სკოლას დაუკავშირონ. საგნების ისეთი ფორმით სწავლებას, რომელსაც არ აქვს კავშირი ყოველდღიურობასთან აუცილებლად მივყავართ სწავლისადმი ინტერესის დაკარგვამდე და ცუდ მოსწრებამდე. შეიძლება, ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის ნათელი იყოს მიმდინარე მასალის კავშირი ცხოვრებასთან, მაგრამ მოსწავლეთათვის - არა. ამიტომ სწავლის პროცესში ყურადღება უნდა მიაქცეს საგნის აქტუალურობის განხილვას.
- დღევანდელი სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები გადატვირთულია მრავალფეროვანი, ხშირად ძნელად აღსაქმელი მასალით. ეს პრობლემა მოგვარებადია, თუ მასწავლებელს აქვს საქმიანი, ძალდაუტანებელი კონტაქტი კლასთან, იმართება დისკუსიები და კრებები, სადაც განიხილავენ ასეთ პრობლემატურ თემებს, აანალიზებენ და პოულობენ მიღებული ცოდნის გამოყენების გზებს. თუმცა ვფიქრობ, პროგრამების გადახედვა მაინც აუცილებელია - სხვაგვარად, ადრე თუ გვიან ბავშვების ნდობა და ინტერესი დაიკარგება. სწავლის ხარისხი კიდევ უფრო შემცირდება, ან სწავლის პროცესი მხოლოდ ფორმალურ სახეს მიიღებს.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ძირითად, მიმართული იყო იმ მიზეზებზე, რაც მოსწავლეებში იწვევს დაბალ ან მაღალ მოტივაციას. ახლა კი მინდა მოგახსენოთ პედაგოგის მოტივაციის პრობლემების შესახებ. ფაქტია, რომ პედაგოგის კვალიფიკაცია ამოსავალი წერტილია განათლების სისტემის გამართული მუშაობისათვის. რა ცვლილებებიც არ უნდა დაიგეგმოს, რა კონცეფციებიც არ უნდა შემუშავდეს, კვალიფიცირებული მასწავლებელის გარეშე, რომელიც ყოველივე ამას რეალურად, გაკვეთილის პროცესში განახორციელებს, განათლების სისტემაში ძირეული გარდაქმნები აუხდენელ ოცნებად დარჩება. დღეს კვალიფიცირებული პედაგოგი საკმაოდ მცირეა, უფრო მცირეა ახალგაზრდების რიცხვი, ვისაც მასწავლებლობის სურვილი აქვს. ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლის პროფესია არ არის „პრესტიჟული" და მოთხოვნადი.

კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლის პროფესიაში საუკეთესო კადრების მოზიდვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ პროფესიის სტატუსთან. მაგ., სინგაპურსა და სამხრეთ კორეაში ჩატარებული გამოკითხვები მოწმობს, რომ, მოსახლეობის აზრით, მასწავლებლების წვლილი საზოგადოების განვითარებაში ყველაზე დიდია. თავად პედაგოგები კი ამბობენ, რომ მათი არჩევანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მასწავლებლის პროფესიის სტატუსმა. ყველა ქვეყნის სასკოლო სისტემაში შეინიშნება მკაფიო კავშირი პედაგოგის პროფესიასა და მის საზოგადოებრივ სტატუსს შორის. იქ, სადაც ამ პროფესიას მაღალი სტატუსი აქვს, მასწავლებლებად მიდიან უფრო ნიჭიერი ადამიანები, რაც თავისთავად ხელს უწყობს ამ პროფესიის სტატუსის ამაღლებას.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

სრულიად საპირისპირო ტენდენციები შეინიშნება გარემოში, სადაც მასწავლებლის პროფესიას დაბალი სტატუსი აქვს: აქ ამ პროფესიის მაძიებელთა რიცხვი ნაკლებია, რასაც სტატუსის შემდგომი დაქვეითებისა და კონტინგენტის ხარისხის გაუარესებამდე მივყავართ. სამწუხაროდ, საქართველოში სწორედ ეს ბოლო ტენდეცია შეინიშნება. ჩვენს საზოგადოებაში მასწავლებელის სტატუსი და იმიჯი არასახარბიელო მდგომარეობაშია, ტელევიზიასა და მედიაში პედაგოგის საქმიანობა ძირითადად უარყოფითი კუთხით შუქდება. ამის მაგალითია მიმდინარე წელს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგებთან აჟიოტაჟი. აუცილებელია პედაგოგის სტაბილურ ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა და აზრის გამოხატვის უფრო მისაღები ფორმების მოძიება.

მისთვის, ვისაც ერთი გაკვეთილი მაინც ჩაუტარება სკოლაში, ცნობილია, რაოდენ სასიამოვნო და ამავე დროს, მძიმეა ეს სამუშაო. დღევანდელ სკოლაში მასწავლებლების დიდი ნაწილი ყოველდღიურად 5-6 გაკვეთილს ატარებს, მათთვის ეს ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა საარსებო მინიმუმის მისაღებად. როგორი მაღალი კვალიფიკაციისაც არ უნდა იყოს მასწავლებელი, ფაქტია, სამი გაკვეთილის შემდეგ მისი შრომის ნაყოფიერება და ხარისხი ეცემა. თუმცა ჩვეულებრივ, ასეთი დატვირთვის შედეგადაც კი ფინანსური შემოსავალი მცირეა და პედაგოგები სამსახურის შემდეგ კერძო გაკვეთილებს ატარებენ. დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ ისინი ხშირად სახლშიც აგრძელებენ მუშაობას. ცხადია, ასეთი რეჟიმით მცხოვრებ მასწავლებელს გაუჭირდება დამატებითი დროის გამონახვა საკუთარ თავზე სამუშაოდ და თვითგანვითარებისათვის. კვლევები კი აჩვენებს, რომ მაღალკვალიფიციური პედაგოგის კლასში მოსწავლეთა პროგრესი სამჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე დაბალკვალიფიციური პედაგოგის შემთხვევაში. აღიარებულია, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესება უმეტესად მასწავლებლის მუშაობის დონითაა განპირობებული.

იმისათვის, რომ იყოს ინოვატორი მასწავლებელი, შეძლოს მუდმივი ზრუნვა თვითგანვითარებაზე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევასა და განვითარებაზე, დღეს მასწავლებელს ესაჭიროება სამუშაო გარემოს აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით, ლაბორატორიებით; სათანადო ფინანსური დაინტერესება და სოციალური სტატუსი. ყოველივე ეს აუცილებელი პირობაა, როგორც პედაგოგის პროფესიული საქმიანობისათვის ასევე პროფესის პრესტიჟისთვის.

მინდა მაგალითად მოვიყვანო ნიდერლანდების, სინგაპურის, ინგლისის, ბოსტონის მაღალეფექტური სასკოლო სისტემები, რომლებიც სტრუქტურითა და სწავლების შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ თითოეული მათგანი ყურადღებას სწორედ მასწავლებლის მუშაობის ხარისხზე ამახვილებს. ითვლება, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტორი ახდენს პირდაპირ გავლენას მოსწავლის სწავლის დონეზე. ჩამოთვლილი სასკოლო სისტემები მისდევდა სამ პრინციპს:

- პედაგოგებად მიეზიდათ შესაფერისი (მაღალი კვალიფიკაციის მქონე) ადამიანები, რადგან განათლების სისტემის ხარისხი არ შეიძლება იყოს მასში მომუშავე მასწავლებლის ხარისხზე მაღალი;
- ექციათ ეს ადამიანები ეფექტურ პედაგოგებად, რადგან მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების ერთადერთი გზა პედაგოგების პროფესიონალიზმის ხარისხის ამაღლებაა;
- შეექმნათ ისეთი ეფექტური სისტემა რომ თითოეულ მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი ყოფილიყო მაღალკვალიფიციური სწავლება, რადგან ერთადერთი გზა,

ISSN 1512-1801

მიაღწიო სისტემის შედეგიანობის მაღალ დონეს, თითოეული მოსწავლის დონის ამაღლებაა.

ზემოთ აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამებზე კანდიდატურების მკაცრი შერჩევით. აღნიშნული მიზნით შემუშავებულია კადრების შეფასების ეფექტური მეთოდები და, რასაკვირველია, კარგი საწყისი ხელფასი, რაც მასწავლებლის პროფესიაში სათანადო დონის კადრების მოზიდვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ასეთ მიდგომას მივყავართ მასწავლებლის სტატუსის ამაღლებისკენ. შესაბამისად, ჩნდება სულ უფრო მეტი მაღალკვალიფიციური კონკურენტი. ეფექტურ სასკოლო სისტემებს მასწავლებლები კურსდამთავრებულთა საუკეთესო მესამედიდან აჰყავს.

დღეს განათლების სისტემაში კვლავ ახალი ცვლილებებია მოსალოდნელი. მასწავლებლები, როგორც სიახლეების მომხრე და ენთუზიაზმით სავსე ადამიანები, იმედით ვუყურებთ მიმდინარე სიახლეებს. მიზანი ცნობილია, მიზნის მიღწევის გზები დასახულია. ახლა საჭიროა მათი პრაქტიკაში განხორციელება და საჭირო შედეგის - მოტივირებული და წარმატებული მოსწავლის, მოტივირებული და პროფესიონალი მასწავლებლის მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი"